პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 20 (2063) 19 მაისი, კვირა, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის, არყის შინ გამოხდის გადაჭრით აღკვეთის, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

სპირტიანი სასმელების სმას ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახეობის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოების გარდა, სადაც სპირტიანი სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენას რაც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას და საზოგადოებრივ ზნეობას, — მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი გაფრთხილების ან 20-დან 30 მანეთამდე ჯარიმის სახით.

იგივე მოქმედებას, რომელიც ჩადენილი იქნება ხელმეორედ, ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების ერთი წლის განმავლობაში, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი 30-დან 50 მანეთამდე ოდენობით ჯარიმის სახით.

მოქმედებას, ჩადენილს იმ პირის მიერ რომელსაც 2-ჯერ დაეკისრათ ადმინისტრაციული სასჯელი საზოგადოებრივ ადგილებში სპირტიანი სასმელების სმისთვის ან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მდგომარეობაში გამოჩენისათვის, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი 50-დან 100 მანეთამდე ჯარიმის სახით ან ერთიდან ორ თვემდე ვადის გამოსასწორებელი სამუშაოები ხელფასის 20%-ის დაკავებით. ხოლო გამონაკლის შემთხვევაში თუ საქმის გარემოების გამო და დამრღვევის პირობების გათვალისწინებით ამ ღონისძიებების გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული — 15 დღემდე ვადის ადმინისტრაციული პატიმრობის სახით.

სპირტიანი სასმელების სმას წარმოებაში (სამუშაო ადგილებზე, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შენობაში და ტერიტორიაზე) ან სამუშაოზე მთვრალ მდგომარეობაში ყოფნას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი 30-დან 50 მანეთამდე ჯარიმის სახით.

შინნახადი არყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არყის, ბრაგის ან სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გასაღების მიზნების გარეშე დამზადებას ან შენახვას, გასაღების მიზნების გარეშე მათი გამოსახდელი აპარატების დამზადებას ან შენახვას მოჰყვება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

შინნახადი არყის, ჭაჭის, არაკას, თუთის არყის, ბრაგის და სხვა შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი 30-დან 100 მანეთამდე ჯარიმის სახით.

სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკთა მიერ არყის და სხვა სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევას მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი 50-დან 100 მანეთამდე ჯარიმის სახით.

მშობლების ან სხვა პირების მიერ არასრულწლოვანის დათრობას, თუ ეს მოქმედება თავისი ხასიათით არ მოითხოვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მოჰყვება ადმინისტრაციული სასჯელი 50-დან 100 მანეთამდე ჯარიმის სახით.

შინაგან საქმეთა (მილიციის) ორგანოებს უფლება მიენიჭათ ადმინისტრაციული სასჯელი დააკისრონ შინნახადი არყისა და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების შეძენისათვის. ასეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსის მოადგილე. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა განახორციელოს საზოგადოებრივ ადგილებში ლოთობის ფაქტების აღკვეთის ღონისძიებანი. ამასთან უზრუნველყონ შინაგან საქმეთა ორგანოების აქტიური ურთიერთმოქმედება ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებთან.

გაზარდონ შინაგან საქმეთა ორგანოების პასუხისმგებლობა ყოველ მიკრორაიონში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ მიმართულებით პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციისათვის.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ყველგან აიკრძალოს სპირტიანი სასმელების მიყიდვა პირებისათვის, რომლებსაც 21 წელი არ შესრულებიათ.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში 1986 წლიდან მოყოლებული გაითვალისწინონ არყისა და ლიქიორ-არყის პროდუქციის წარმოების მოცულობის ყოველწლიური შემცირება, ხოლო 1988 წლისათვის მთლიანად შეწყდეს ხილ-კენკრისაგან დამზადებული ღვინოების გამოშვება.

ბრძანებულება სამოქმედოდ იქნება შემოღებული 1985 წლის 1 ივნისიდან.

# საერთო საზრუნავი

**1985 წელს საქ. სსრ შს სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს კოლექტივი მეორედ დაჯილდოვდა საკავშირო სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშით.**

**გულითადად ვულოცავთ ავტოინსპექციის თანამშრომლებს ამ წარმატებას. ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე რომელსაც „გზაჯვარედინი" ვუწოდეთ ასახულია ამ სამსახურის მუშაობის ზოგიერთი ეპიზოდი.**

**გთავაზობთ საქართველოს სსრ შს სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მილიციის პოლკოვნიკის გ. გ. შალამბერიძის სტატიას.**

**თანამედროვე** საგზაო მოძრაობა უაღრესად დინამიურია და მაღალი სიჩქარეებით ხასიათდება. ინტესიურობის ყოველდღიურმა ზრდამ განაპირობა ის, რომ მძღოლი თითქმის მუდამ სატრანსპორტო ნაკადში იმყოფება. კარგა ხანია დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა ავტომანქანის მართვა მხოლოდ სასიამოვნო გასართობი იყო. სადღეისოდ მძღოლობა ფრიად სერიოზული და ძნელი საქმე გახდა.

აქ ერთი საგულისხმო გარემოებაც უნდა აღვნიშნო; ჩვენს ქუჩებზე და გზებზე ფაქტიურად არ არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წყნარი პერიოდები". მთელი დღის განმავლობაში მოძრაობის ინტენსიურობა ძალზე მაღალია და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მუდმივი პიკის საათია. ეს კი არაერთ სიძნელეს განაპირობებს.

საკითხავია, რა უნდა სამუშაო საათებში ქუჩებში ასეთი დიდი რაოდენობის ავტომანქანას? თუმცა აქ საკითხავიც არაფერია ცხადია, ზოგიერთ ორგანიზაციასა და დაწესებულებებში დისციპლინა სათანადო დონეზე არ დგას, მუშაკების შრომა-საქმიანობა მოკლებულია ხელმძღვანელთა ქმედით კონტროლს.

სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურს განზრახული აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს ზედამხედველობა სამუშაო საათებში ასეთი კატეგორიის მძღოლებზე, როგორც სისტემატიური მუშაობის, ასევე სპეციალური მიზნობრივი რეიდების დროს გამოავლინოს მათი დარღვევები და შეკრებილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისათვის გადასცეს შესაბამის პარტიულ ორგანიზაციებს, ზემდგომ ინსტანციებს. თითოეული ამგვარი ფაქტი უმკაცრესი, საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება შრომით კოლექტივებში, რეიდების შედეგები უფრო ფართოდ გაშუქდება პრესაში, ტელევიზიასა და რადიოს საშუალებით. ასეთი ღონისძიებების გატარება სრულიადაც არ წარმოადგენს თვითმიზანს, იგი დღევანდელობის აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

ჩვენ ხშირად შეგვიმჩნევია მძღოლები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოსთან მიახლოებისას იცავენ მოძრაობის წესებს, ხოლო როცა მეთვალყურეობას არ გრძნობენ, მთელი სისრულით ამჟღავნებენ თავის ჭეშმარიტ ნატურას, თავაწყვეტილად დააჭირითებენ ავტომანქანებს, რომელიც შესაძლოა სხვისთვის ტრაგიკულად დამთავრდეს. თვითონ განსაჯეთ: მიმდინარე წლის ოთხ თვეში გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით გაცილებით შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი, მაგრამ მაინც მოხდა 719 შემთხვევა, რომლის შედეგადაც დაიღუპა 179 და დაშავდა 871 ადამიანი. რესპუბლიკაში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ანალიზმა ცხადყო, ავტოავარიების უმეტესობა გამოიწვია წესების ისეთი სახის დარღვევებმა, როგორიცაა სიჩქარის გადაჭარბება.

ავტომობილი ჩქაროსნული სატრანსპორტო საშუალებაა, მაღალი სიჩქარეები ჩვენი საუკუნის რიტმია, მაგრამ მუდამ უნდა ვეცადოთ მის გონივრულ რეგულირებას. სიჩქარეს თუ იგი ავტოავარიის, ადამიანთა მსხვერპლისა და დაშავების მიზეზი გახდა, ბუნებრივია, კარგავს თავის დადებით, პროგრესულ მნიშვნელობას. ამიტომ, სანამ სატერფულზე ფეხს დააჭერს, მძღოლმა მუდამ უნდა გაიხსენოს მოძრაობის წესებით დადგენილი, ან საგზაო ნიშნებით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვები, რომლებიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს.

უმეტესად ამ მიზეზით ავტომანქანის ის ინდივიდუალური მფლობელები ახდენენ ავტოავარიებს, რომლებიც თავის შესაძლებლობაში ზედმეტად თვითდაჯერებულად სარგებლობენ თანამედროვე ავტომობილების სიჩქარით და მოულოდნელი სიტუაციის დროს

(დასასრული იხ. მე-3 გვ.).

НАВСТРЕЧУ КУРОРТНОМУ СЕЗОНУ

# Обеспечить образцовый порядок

М. ЧУЛКОВ,
министр внутренних дел Абхазской АССР, генерал-майор.

Большая часть курортных зон нашей автономной республики расположена на Черноморском побережье, где функционируют многие десятки оздоровительных учреждений — санаториев, домов отдыха, пансионатов, кемпингов, туристических баз. Через перевалы Главного Кавказского хребта по территории республики проходят туристические маршруты, по которым передвигаются многочисленные туристы. Сотни тысяч трудящихся отдыхают также в неорганизованном порядке,— «дикарями», устраивая палаточные городки на побережье моря и близ населенных пунктов.

Не секрет, что вместе с потоком отдыхающих на курорты Абхазии проникают разного рода, как мы их называем, «гастролеры» — лица без определенного места жительства и занятий, мошенники, комбинаторы, тунеядцы, воры и прочие, которые порою в сговоре с местными антиобщественными элементами совершают различные преступления, нарушают социалистический правопорядок на железнодорожных и морских вокзалах, автостанциях и в аэропорту, на территории здравниц и в других общественных местах. С приближением курортного сезона для наших сотрудников наступает в полном смысле слова «горячая пора».

Именно в этот период особое значение приобретает требование партии о необходимости обеспечения образцовой государственной дисциплины, соблюдения советских законов всеми должностными лицами и гражданами.

Как же справляются органы внутренних дел Абхазии со стоящими перед ними в курортный сезон задачами?

Проведение специальных оперативно - профилактических мероприятий, улучшение контактов с общественными формированиями, усиление пропускной системы в оздоровительных учреждениях, соблюдение режима проживания в турбазах и здравницах позволили по сравнению с предыдущими годами добиться определенного снижения здесь уровня преступлений. Некоторого улучшения оперативной обстановки в целом удалось добиться в городах Сухуми, Гагра, а также в Сухумском и Очамчирском районах.

Следует отметить, что в минувший курортный сезон заметно сократилось количество жалоб на действия сотрудников милиции и, напротив, возросло число писем со словами благодарности в их адрес.

Однако, отмечая определенные успехи в борьбе за обеспечение общественного порядка на курортах, нельзя обойти молчанием и серьезные недостатки и упущения в работе, допускавшиеся в курортном сезоне 1984 года. Неблагополучно обстоит дело в Гудаутском районе. Здесь имели место убийства и покушения на убийство, кражи из санаториев и домов отдыха, нанесение тяжелых телесных повреждений. Необходимо совершенствовать свою деятельность и личному составу Гульрипшского и Гальского РОВД.

Уроки прошлого сезона многому нас научили. Учтя недостатки в организации борьбы за образцовый порядок, глубоко и всесторонне проанализировав их причины, министерство внутренних дел Абхазской АССР и его подразделения на местах разработали и привели в действие комплексный план оперативно-профилактических мероприятий, направленных на повышение эффективности работы по предупреждению и своевременному пресечению преступлений в период курортного сезона 1985 года. Особое внимание уделено техническому укреплению камер хранения оздоровительных учреждений, а также комнат отдыхающих, введена охранная сигнализация в отдельных номерах гостиниц, домов отдыха.

Подразделения ГАИ особенно пристально осуществляют технический осмотр транспортных средств, используемых для перевозки отдыхающих. Осуществляется проверка состояния дорог и трасс, по которым проходят оживленные курортные маршруты. В целях охраны окружающей среды и улучшения отдыха введено ограниченное движение иногородних транспортных средств на территории курорта Пицунда.

Кроме того, предусмотрено проведение ряда мероприятий по укреплению паспортного режима, соблюдению которого мы придаем особое значение. Строгий спрос предъявляется к руководителям предприятий, организаций и учреждений,

(Окончание на 2-й стр.).

# კომკავშირის საგზურით

მილიციის მუშაობაში ხშირად წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა თითქოსდა შეუძლებელია, ამ დროს ზოგიერთს შეიძლება თავგზაც აებნეს. მილიციის მაიორ ალექსანდრე უბილავას, რომელსაც საქმის ვითარებას გააცნობდნენ იგი ყოველთვის დინჯად მოისმენდა, ყველაფერს ასწონ-დასწონიდა და საბოლოო გადაწყვეტილებაც რომ ვერ მიეღო, მისი რჩევის შემდეგ ყველაზე თავგზააბნეულსაც კი გულზე მოეშვებოდა, სწორი გადაწყვეტილების მიღება აღარ გაუჭირდებოდა.

ალექსანდრე იასონის ძე უბილავა დაიბადა 1927 წელს გალის რაიონის სოფ. ნაბაკევში. 1942 წელს კომკავშირის წევრად მიიღეს. სკოლის დამთავრების შემდეგ ნაბაკევის ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა მუშად. შემდეგ ორი წელიწადი სოხუმის რაიონის აკაფა — კელასურის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი იყო. ენერგიულ ჭაბუკს გული დიდი საქმეებისაკენ მიუწევდა, ახალი ცხოვრების მშენებელთა ფერხულში აქტიურად უნდოდა ჩაბმულიყო და კომკავშირმა მის ოცნებას ფრთები შეასხა.

კომკავშირის რაიონული კომიტეტის საგზურით ალექსანდრე სამუშაოდ გაგზავნილი იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებში. აქედან იწყება მისი ძნელი, ხიფათით სავსე, მაგრამ სახელოვანი გზა, რიგითი მუშაკიდან რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემდე.

ნებისმიერი ოპერაციის დროს არ შეეძლო საქმეს ზერელედ მოჰკიდებოდა, მისი კეთილსინდისიერი, ადამიანური ბუნება ყველა დიდი თუ პატარა საქმის წარმატების მყარ საფუძველს წარმოადგენდა.

ადრე დაბრძენებულმა ჭაბუკმა მუშაობის 21 წლის მანძილზე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. მიაღწია იმას, რომ ლამაზი, საკუთარი, წარუშლელი კვალი დაეტოვა გალის რაიონის მილიციის ისტორიაში.

ალექსანდრეს სისხლსავსე ცხოვრებიდან დღეს ბევრი ეპიზოდის გახსენება შეიძლება, რაც მკითხველისათვის უდაოდ საინტერესო იქნება. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

...ძებნილი გ. გოგოხია თავისსავე სოფელში იმალებოდა: მის მიერ ჩადენილ იქნა ქურდობები, ძარცვა, გაუპატიურება და მკვლელობა.

დაუსჯელობით გათამამებული ბოროტმოქმედი დათარეშობდა სოფელში და რასაც მოისურვებდა იმას აკეთებდა. ასე გაიარა ერთმა წელმა ბოლოს, 1964 წლის დეკემბრის თვეში, დადგენილ იქნა მისი ზუსტი ადგილსამყოფელი. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. ღამის სამ საათზე ალყა შემოარტყეს მის სახლს. ალექსანდრემ ფანჯრიდან შეიხედა, დაინახა, რომ გ. გოგოხია იქ იყო. მან ბოროტმოქმედს აცნობა, რომ იგი ალყაშემორტყმული იყო და დანებებოდა. ამის პასუხად გოგოხიამ სროლა ატეხა — ფანჯრიდან გადმოაგდო ხელოვნურად დამზადებული ყუმბარა, ისროლა ავტომატიდან, ალექსანდრეს მითითებით სროლას სროლითვე უპასუხეს. გ. გოგოხია დარწმუნდა, რომ ვერას გახდებოდა და დანებდა.

...ოპერატიულ ჯგუფს, რომელსაც ალექსანდრე უბილავა ხელმძღვანელობდა, შეიარაღებული ბანდიტი, ტყეს შეფარებული მკვლელი ზ. ხუხუა უნდა დაეკავებინა.

ალექსანდრემ შეიტყო თუ არა მისი ადგილსამყოფელი, ოპერატიული ჯგუფის წევრები შეკრიბა და ღამის სიბნელეში შევიდა სიმინდის ყანაში, რომლის ცენტრში მაღალი ხე იდგა. იგი მიხვდა, რომ სწორედ ამ ხეზე უნდა ყოფილიყო მკვლელი, რომელსაც მისი ამხანაგის სახელით დაუძახა: „ნუ გეშინია, აქეთ წამოდი ზაურ, მე დაგეხმარებიო". ზ. ხუხუა შეეხმიანა მას, ჩამოვიდა ხიდან და მისკენ გაემართა. მიუახლოვდა თუ არა იცნო მილიციის მუშაკი, იარაღის გამოყენება სცადა, მაგრამ დაასწრო ალექსანდრემ და დააკავა იგი. მისი შეპყრობა მოხდა მკვლელობის ჩადენიდან 6 საათის შემდეგ.

...ხუმუშქურიას ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა ზაგიდ მახუდოვი, იქვე მეურნეობასთან ელოდებოდა მანქანას ამ დროს მას ორი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. ბაქოში აპირებდა წასვლას თავის მშობლებთან.

დაჭრილი /ახალგაზრდა ნაძირალებმა იქვე დააგდეს, თვითონ კი ნადავლით არხეინად გაუყვნენ სოფლის შარას...

მილიციის მაიორი ალექსანდრე უბილავა კაბინეტში იჯდა. ტელეფონის ზარი აწკრიალდა... მაიორი მაშინვე დაზარალებულთან გაჩნდა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ მოვიდა გონს.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს ალექსანდრეს, მაგრამ ხელმოსაჭიდი არაფერი ჩანდა, შემდეგ ერთხელ კიდევ გადაამოწმა იმ ზონაში მცხოვრებ საეჭვო პირთა სია. ეჭვმიტანილთა რიცხვი თანდათან შეიკვეცა და ბოლოს ანთია და ჯაბუა შემორჩა. იმავე ღამეს დააკავეს ორივე ახალგაზრდა, ისინი უარს ამბობდნენ დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ მათი თვალები, ქცევა და ხასიათი სულ სხვას ამბობდნენ. გამოცდილ ჩეკისტს ალღომ არ უმტყუნა, ნაძირალებმა მალე სიმართლე აღიარეს — საკადრისი პასუხიც აგეს.

მრავალი ასეთი და სხვა ფაქტის მოყვანა შეიძლება ალექსანდრე უბილავას მუშაობის პრაქტიკიდან. იგი დღე და ღამეს ასწორებდა ნდობის გასამართლებლად, მშრომელთა სიმშვიდის დასაცავად, არც პენსიაზე გასვლის შემდეგ შეუწყვეტია შრომითი საქმიანობა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში ხელმძღვანელობს საბინაო-კომუნალურ განყოფილებას.

ალექსანდრე უბილავა ამჟამადაც მტკიცედ დგას სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადარაჯოზე, როგორც მოწინავე სახალხო რაზმეულის ჯგუფის უფროსი. მისი აქტიური მონაწილეობით დაკავებული იქნა საზოგადოებრივი წესრიგის ათობით დამრღვევი, აცილებული იქნა რამოდენიმე მოსალოდნელი დანაშაული. გალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სახლმმართველობის სახალხო რაზმეული, რომელსაც ალექსანდრე უბილავა მეთაურობს სამჯერ დაჯილდოვდა გალის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა გალის რაიკომის საპატიო სიგელით.

**ჯ. გაბელია,**
**გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**

# СОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПРОФЕССИОНАЛЬНОЕ МАСТЕРСТВО

Успешное выполнение задач, стоящих перед органами внутренних дел, требует постоянного повышения квалификации, совершенствования профессионального мастерства рядового и начальствующего состава. С этой целью в органах и подразделениях внутренних дел создана и функционирует система профессиональной подготовки кадров.

Профессиональная подготовка организуется и осуществляется в соответствии с требованиями указания по профессиональной подготовке рядового и начальствующего состава органов внутренних дел.

Руководство МВД ГССР проявляет постоянную заботу и оказывает повседневную помощь Управлению кадров, другим службам, органам и подразделениям внутренних дел в деле улучшения и повышения эффективности боевой и служебной подготовки личного состава.

Как показала итоговая проверка и смотр-конкурс профессиональной подготовки личного состава органов, подразделений и учреждений внутренних дел за 1984 год, службы и отделы центрального аппарата министерства все большее внимание уделяют вопросам боевой и служебной подготовки.

Боевая и служебная подготовка руководящего состава нацелена на совершенствование навыков руководства органами и подразделениями, на воспитание и обучение подчиненных, на внедрение в работу достижений науки и техники, передового опыта служебной деятельности.

Хорошо поставлена эта работа в УГАИ (начальник Шаламберидзе Г. Г.), УБХСС (начальник Вепхвадзе Д. Г.), ХОЗУ (начальник Чхиквишвили В. С.), УВО (начальник Инджия Г. С.), УПО (начальник Гиоргадзе Э. Г.), УИТУ (Ходжава Г. В.), в отделе милиции по охране совпарторганов (Мачханели Э. И.), МВД Абхазской АССР (Чулков М. А., Варапаев А. И.), Аджарской АССР (Микеладзе Д. П., Асамбадзе Г. Д.) УВД Тбилисского горисполкома (Саларидзе Д. В., Чахунашвили О. Г.), Цулукидзевском, Хашурском, Дманисском, Гардабанском, Зугдидском ГОРОВД.

Руководители этих ГО РОВД проявляют инициативу в деле повышения боевой и служебной подготовки личного состава, ими разрабатываются дополнительные тематические планы с учетом местных условий и специфических задач, выполняемых данной службой, которые включаются в расписание занятий по профессиональной подготовке. Планируются и проводятся в зонах кустовые семинары-совещания с предварительной разработкой учебно-методической документации.

Так, в УВО МВД ГССР разработан график проведения занятий в учебно-техническом центре, который имеется при Управлении и в течение года соблюдается.

Руководство УПО и ОТУ МВД ГССР не ограничивается конкретной работой, которую они проводят в своих аппаратах, выезжают в подведомственные подразделения для проверки и оказания практической помощи по линии профессиональной подготовки. В этом отношении особо хочется отметить Управление пожарной охраны (начальник Гиоргадзе Э. Г).

В 1984 году руководители служб, органов и подразделений внутренних дел республики серьезно стали относиться к вопросу огневой выучки личного состава, к знаниям ими материальной части табельного оружия.

Огневая подготовка хорошо организована в УК, ОТУ, ХОЗУ, УИТУ, УГАИ, в учебном центре МВД ГССР, в МВД Абхазской и Аджарской АССР, в УВД Юго-Осетинского облисполкома, Тержольском, Цулукидзевском, Ахметском, Гардабанском ГО РОВД, Орджоникидзевском, Октябрьском, Калининском, Глданском, РОВД им. 26 комиссаров г. Тбилиси.

Наметились положительные сдвиги в деле определения и присвоения сотрудникам квалификации классного специалиста. Наряду с количественным ростом специалистов по службам и отраслям министерства повысился и общий уровень подготовки сотрудников.

Руководство МВД ГССР неослабное внимание уделяло вопросам направления сотрудников на курсы повышения квалификации, переподготовку и первоначальную подготовку.

Профессиональное мастерство, стиль, методы работы и в целом профессиональная культура отдельных сотрудников не в полной мере соответствуют повышенным требованиям сегодняшнего дня.

В отдельных службах допускаются факты непроведения и срыва занятий, документация находится в запущенном состоянии.

Серьезные недостатки наблюдаются в деле ведения учебно - методической документации в службах центрального аппарата.

Документация по профессиональной подготовке не везде ведется качественно, журналы ведутся небрежно и некачественно, не на каждом семинарском занятии практикуется выставление оценок, не всегда отмечается количество присутствующих и отсутствующих, не всегда проводятся занятия в установленные дни, допускаются недостатки в подборе тем и планировании работы.

Многие сотрудники органов внутренних дел еще не имеют четких знаний по правилам ношения и хранения огнестрельного оружия, многие из них не знают при каких обстоятельствах можно применять оружие. В результате не изжиты факты неправомерного применения оружия, неумелого и небрежного обращения с ним. Как показал анализ, за последнее время участились случаи утрат огнестрельного оружия.

И, как результат, при проведении инспекторской проверки неудовлетворительную оценку получили отделы внутренних дел Батумского, Сухумского, Гагрского горисполкомов, Ленинский РОВД г. Тбилиси.

Повышение квалификации, совершенствование профессионального мастерства сотрудников органов внутренних дел невозможно без профессиональной подготовки кадров. Об этом не должен забывать ни один руководитель, ни один сотрудник органов внутренних дел.

**Д. АРАБУЛИ,**
**начальник отдела профессиональной подготовки УК МВД ГССР, майор в/с.**

# იცნობდეთ — მოწინავეა

სოლომონ ნასყიდის ძე ინაშვილი 1961 წელს დაიბადა დუშეთის რაიონში. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გახდა სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი; დაამთავრა სატრანსპორტო-ტექნიკური სასწავლებელი.

1984 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის ლენინის რაიონის სახანძრო დაცვის ნაწილში.

ახალგაზრდა თანამშრომლისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინა ნაწილის ხელმძღვანელობამ, თითოეულმა მუშაკმა. ს. ინაშვილს დაუნიშნეს გამოცდილი დამრიგებელი; უფროსი ამხანაგები ხანძრის ქრობის დროს მხარში ედგნენ, ამხნევებდნენ თავისუფალ დროს კი გამოცდილებას უზიარებდნენ; შედეგიც ლოგიკურია — ამ მოკლე დროში კომკავშირელი, შს რიგითი ს. ინაშვილი მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

არაერთი ხანძრის ქრობაში მიიღო მან აქტიური მონაწილეობა, მაგრამ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციისას.



ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა მეხანძრეს.

# ОБЕСПЕЧИТЬ ОБРАЗЦОВЫЙ ПОРЯДОК

(Окончание. Начало на 1-й стр.).

которые принимают на временную работу граждан, не имеющих прописки. Надо отметить, что подобные факты часто встречаются в строительных организациях и некоторых совхозах.

Нельзя не коснуться и серьезных недостатков и упущений в работе гостиниц, многие из которых еще не изжиты. До сих пор, например, не введен пропускной режим в отдельных гостиницах, есть факты длительного проживания лиц, грубо нарушающих паспортный режим.

Слабо поставлена работа специализированных народных дружин, здравниц. Анализ прошлых преступлений свидетельствует о том, что отдельные руководители оздоровительных учреждений все еще не уделяют должного внимания организации пропускной системы, охране личной собственности отдыхающих. Среди них не проводится разъяснительная работа о необходимости воздерживаться от случайных знакомств, от «услуг» незнакомых лиц. Ведь нередко паразитические элементы, злоупотребляя доверием граждан, совершают преступления против достоинства отдыхающих.

Видимо назрела необходимость строже спрашивать с руководителей лечебно-оздоровительных учреждений за состояние порядка на руководимых ими объектах. Следует принять меры и по активизации деятельности добровольных народных дружин, усилить пропускной режим.

В перспективном комплексном плане нашей работы нашли отражение и некоторые другие, на наш взгляд, весьма эффективные мероприятия по обеспечению безопасности и сохранности личного имущества отдыхающих.

Проводимая партийными, советскими и правоохранительными органами и при активном содействии общественности профилактическая работа, широкое наступление на пьянство, тунеядство и другие антиобщественные явления положительно сказываются на результатах борьбы с преступностью. В курортном сезоне 1984 года по сравнению с прошлым периодом было зафиксировано снижение общего количества нарушений общественного порядка. Снизилось также и количество нарушений правил безопасности дорожного движения, преступлений, совершенных несовершеннолетними. Определенные положительные результаты достигнуты и в первом квартале текущего года.

Наша цель — не только закрепить достигнутое, но и добиться дальнейшего снижения уровня правонарушений, сделать все для того, чтобы обеспечить образцовый общественный порядок в курортных зонах нашей автономной республики.

# საერთო საზრუნავი

(დასასრული)

ვერ ასწრებენ სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

ცხადია, მძღოლმა მუდამ და განსაკუთრებით ზამთრის პირობებში უნდა შეარჩიოს უსაფრთხო სიჩქარე, ე. ი. სიჩქარე, რომლის დროსაც ავარიული სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა მინიმალურია, იმოძრაოს სატრანსპორტო ნაკადების საერთო რიტმის დაურღვევლად, თორემ შესაძლოა, მგზავრობა პირველივე მოსახვევში დამთავრდეს.

ჩვენ ხშირად აღვინიშნავს ისიც, რომ ტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა მძიმე შედეგიანი ავტოავარიების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მთვრალი მძღოლი ობიექტურად ვეღარ აფასებს თავის შესაძლებლობას ეფანტება ყურადღება, უგულებელყოფს საგზაო მოძრაობის წესებს, რაც უმეტესად საშინელი ტრაგედიებით მთავრდება და ამის დამადასტურებელი მაგალითებიც თითზე ჩამოსათვლელი როდია.

არანაკლებ საჭირბოროტო პრობლემას წარმოადგენს მძღოლთა მომზადება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ავტომანქანის მართვის ოსტატობა, რადგან მოძრაობის დისციპლინასთან ერთად, იგი, ბუნებრივია, უშუალო ზეგავლენას ახდენს გზებსა და ქუჩებში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე: პირდაპირ უნდა ითქვას, ბევრი მძღოლის კვალიფიკაცია ვერ პასუხობს თანამედროვე საგზაო-მოძრაობის ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნებს. ამიტომ ახალი წესით მძღოლები ხელახლა ატარებენ გამოცდებს.

რადგან აღნიშნულ საკითხს შევეხეთ, აქვე დავძენთ, რომ სახავტოინსპექციის ორგანოების ღირსეული კადრებით შევსების პრობლემა ჩვენს მოღვაწეობაში დღენიადაგ ზრუნავის საგანია. ავტოინსპექტორი მოქალაქეებთან ყოველდღიურ კონტაქტშია, ამიტომ ვცდილობთ ჩვენს რიგებში იმუშაონ მხოლოდ მორალურად მტკიცე, ტაქტიანმა, საკმაოდ განათლებულმა, საუკეთესო პირადი ადამიანური ღირსებებით შემკულმა ადამიანებმა. სინამდვილეში კი, არც თუ ისე იშვიათად, პირიქით ხდება;

ცხადია, საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზაციის საქმეშიც ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ხარვეზები არც თუ ისე იშვიათად ავტოინსპექცია ვერ იჩენს საკმარის თანმიმდევრობასა და პრინციპულობას წესრიგის დამრღვევთა მიმართ, კვლავ წინა პლანზეა წამოწეული ავტოინსპექციის რიგები შემოწმებული, პატიოსანი, ერთგული, კულტურული კადრებით განმტკიცების პრობლემა, რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონებში სახელმწიფო ავტოინსპექციის აპარატები არადამაკმაყოფილებლად ეწევიან საქმიანობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ალკვეთისა და თავიდან აცილებისათვის, როგორც არაერთხელ უკვე აღინიშნა, მოკლებულია ქმედითობას უბნის ინსპექტორთა და მილიციის სხვა სამსახურების, სახალხო ავტორაზმელთა, მილიციის უშტატო თანამშრომელთა, მედიცინის მუშაკთა დახმარება.

მძღოლსა და ავტოინსპექტორს შორის ყოველთვის უნდა იყოს ურთიერთგაგების ატმოსფერო, მოქალაქეობრივი ურთიერთგაგებისა იმ მიმართულებით, რომ ორივე მხარის სწორი მოქმედება ემსახურებოდეს საერთო საჭირბოროტო პრობლემის უსაფრთხოების საკითხებს.



მილიციის სერჟანტი მ. კიკოლაშვილი 1982 წლიდან მუშაობს ქ. თბილისის ავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორად. ამავე წელს მიიღეს სკკპ რიგებში. პირველი დღეებიდანვე მან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა, სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელმა; თავაზიანია მოქალაქეებთან ურთიერთობაში. მოწინავე ავტოინსპექტორი ხელმძღვანელობის მიერ არაერთხელაა წახალისებული.

**სურათზე: მ. კიკოლაშვილი ხაბუთებს უსინჯავს მოძრაობის წესების დამრღვევს.**

ა. გოგოლაძის ფოტო.

# ნორჩი ავტოინსპექტორები

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩაწერილია, რომ თითოეული ნორჩი ადამიანის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია.

აი, რატომ არის, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გატარებულ ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროპაგანდისტულ განმარტებით მუშაობას — სკოლისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ვასწავლით საგზაო მოძრაობის წესებს, რათა დაიცვას ისინი გზებზე მოძრაობის დროს.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილებამ სოხუმში, პიონერებისა და მოსწავლეების რესპუბლიკურ სასახლესთან შექმნა მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რაზმი, რომელშიც შევიდნენ ქალაქის სკოლების მოსწავლეები.





აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული რაზმის შესაქმნელად დაამზადა ფორმის ტანსაცმელი და უსასყიდლოდ გადასცა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხელმძღვანელობას.

რა მიზანს ემსახურება რაზმის შექმნა?

ნორჩ ინსპექტორთა რაზმის შეოს სკოლებს მოსწავლეთა კომუნიქმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, აფხაზეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების თანამშრომელმა, მილიციის კაპიტანმა ტ. ზეინალოვმა ჩვენთან საუბარში თქვა:

— ნორჩ ინსპექტორთა რაზმის შექმნის მიზანია აქტიურად დაეხმაროს ურ აღზრდაში, შეაყვაროს ნორჩებს საბჭოთა მილიციის გმირული, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, გამოუმუშაოს მათ სოციალისტური მართლშეგნება ჰუმანური დამოკიდებულება ადამიანებისადმი. ცხადია — ნორჩმა ინსპექტორებმა ღრმად უნდა შეითვისონ საგზაო მოძრაობის წესები და ამით ხელი შეუწყონ მათ პროპაგანდას სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში.

დავძენდით — კარგი წამოწყებაა, მწვანე გზა ჰქონდეს მას.

**ნ. პლატონიძე.**

**სურათზე: ნორჩი ავტოინსპექტორები.**

ა. გოგოლაძის ფოტო.

# ПОЛЕЗНОЕ НАЧАЛО

На одной из оживленных улиц города с большой скоростью мчится автомашина скорой помощи.

Произошло автодорожное происшествие. Водитель и два пассажира в тяжелом состоянии доставлены в больницу...

Мы часто становимся свидетелями такой сцены и моментально задумываемся о здоровье своих родных и близких. Но одновременно забываем, что в условиях бурного роста автотранспортных средств, повышения интенсивности движения на улицах городов и дорогах республики возникает серьезная угроза увеличения количества дорожно-транспортных происшествий.

По подсчетам Всемирной организации здравоохранения число погибших на автомобильных дорогах нашей планеты за минувший год составило 3 миллиона человек, а число лиц, получивших увечья, — свыше 10 миллионов человек.

Возникает законный вопрос: «Кто обязан оказать первую помощь, если на месте происшествия нет врача?».

Директор научного центра травматологии и ортопедии Министерства здравоохранения Грузинской ССР, лауреат Ленинской премии, академик АН ГССР, профессор О. Н. Гудушаури отвечает коротко: — Сотрудники ГАИ. Именно они являются одними из первых свидетелей дорожно - транспортного происшествия, и именно они обязаны оказать эффективную помощь, своевременно наложить стерильную повязку на рану. Иммобилизация переломов подручными средствами или специальными шинами, остановка наружного кровотечения давящей повязкой, а при значительных кровотечениях — наложение жгута. — Словом, все эти необходимые меры,— продолжает О. Н. Гудушаури, — намного облегчат состояние больного, а в некоторых случаях являются решающими. Успешное решение этой задачи во многом зависит от того, как работники ГАИ применяют на практике соответствующие знания и навыки.

Исследованиями, проведенными научно - исследовательской лабораторией безопасности дорожного движения Министерства внутренних дел Грузинской ССР было установлено, что половина сотрудников ДПС ГАИ не имеют достаточного опыта и знаний в оказании первой доврачебной медицинской помощи пострадавшим при дорожно - транспортных происшествиях и в организации надлежащей эвакуации пострадавших в лечебные учреждения.

Первая помощь на месте автодорожного происшествия, как известно, оказывается находящимися рядом работником ДПС ГАИ, пешеходами, водителями, пассажирами, либо в зависимости от тяжести травмы, самими пострадавшими. Однако исследования показывают, что первая помощь на месте происшествия оказывается, как правило, с большими опозданиями.

А это, в свою очередь, приводит к усугублению тяжести повреждения при транспортировке больных, так как отсутствие иммобилизации приводит к дополнительному повреждению не только мелких тканей, но и крупных кровеносных сосудов и нервов.

Говорит заместитель директора по научной части, профессор Б. Г. Георгадзе:

— Многие вопросы оказания догоспитальной помощи пострадавшим до сих пор остаются нерешенными. Очень часто приходится наблюдать случаи поступления пострадавших с неостановленными кровотечениями, без иммобилизации конечностей, случаи доставки совершенно неприспособленным транспортом. Безграмотные действия лиц, оказывающих первую помощь, усложняют дальнейшее лечение пострадавших.

Исходя из этого Министерство внутренних дел ГССР и Минздрав республики, на основании результатов исследований, наметили конкретный план дальнейшего совершенствования взаимодействия между органами МВД и здравоохранения Грузинской ССР по улучшению организации и повышению эффективности оказания медицинской помощи пострадавшим при ДТП на догоспитальном этапе, а также определили необходимость значительного повышения качества подготовки и обучения работников милиции (ДПС ГАИ) приемам оказания первой медицинской помощи и принципам своевременной эвакуации пострадавших при дорожно-транспортном происшествии в больницы.

В связи с этим, на базе научного центра травматологии и ортопедии Минздрава ГССР для командного состава ДПС УГАИ МВД республики организованы циклы по новому учебному плану теоретических и практических занятий по формам и методам оказания доврачебной медицинской помощи пострадавшим при дорожно-транспортных происшествиях. В процессе занятий личному составу милиции разъясняется важность и гуманность выполняемой работы по оказанию доврачебной помощи пострадавшим гражданам. К лекциям привлекаются хирурги, травматологи, реанимологи. Помимо теоретических занятий, специалистами уделяется большое внимание и практическим занятиям.



Полезному началу открыта зеленая дорога. Насколько сотрудники ДПС ГАИ республики на практике будут добросовестно выполнять свою доврачебную помощь — во многом будет зависеть жизнь людей при дорожно-транспортных происшествиях.

**И. СЛОЯН.**

**На снимке: сотрудники ГАИ во время теоретических занятий.**

Фото С. Сычева.

# გამოთხოვება ლურჯ ფარაჯასთან

**ჩვენ**, ჟურნალისტები, როდესაც მილიციელებზე ვლაპარაკობდით, როგორც ჩანს, ძალიან ხშირად ვხმარობდით ეპითეტს, — „ლურჯი“ და ამიტომ, როდესაც ამ სტატიას ვაბარებდი რედაქტორს ვუთხარი: „უკანასკნელად“ მართლაც და, ხომ ველარ დასწერ ნარკვევს მილიციაზე ასეთი სათაურით „კაცი მარენგოსფერ პალტოში“...

1970 წლიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ხმარებაში შემოვა ტანსაცმლის ახალი ფორმა საბჭოთა მილიციის თანამშრომლებისათვის. ტანსაცმლის ახალი ფორმის შემოღება ითვალისწინებდა მილიციის ორგანოთა თანამშრომლებში მუშაობის კულტურის დონისა და დისციპლინის ამაღლებას, მათი ავტორიტეტის განმტკიცებას .ახალი ფორმის შემოტანა ნაკარნახევი იყო აუცილებლობით — მიეცა ტანსაცმლისათვის ისეთი სახე, რომელიც სავსებით უპასუხებდა თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნებს. იგი უნდა ყოფილიყო ელეგანტური, მაქსიმალურად მოსახერხებელი და პრაქტიკული. ამასთანავე ფორმაში უნდა შენარჩუნებულიყო მისი ზოგიერთი ტრადიციული ელემენტები. მართლაც, მილიციის თანამშრომლებმა გაიხადეს მილიციის ლურჯი ფარაჯა და მარენგოსფერი პალტო ჩაიცვეს. ადამიანი ლურჯ ფარაჯაში კი ჩვენს გვერდით 30 წლის განმავლობაში იდგა ყველაზე მწიმე წუთებში, იცავდა ჩვენს სიმშვიდეს, თავის მკერდს უშვერდა რომელიმე ჩვენთაგანისათვის გამიზნულ დანას თუ კასტეტს.

თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში მილიციის როლის გამოხატვა ძნელია. ჩვენ, როცა ყველაფერი ირგვლივ წესრიგშია, თითქმის ვერ ვამჩნევთ ადამიანს მილიციის ფორმაში, ჩვენს სიხარულს ვუზიარებთ ყველას, ვისაც გნებავთ, გარდა მშობლიური მილიციისა. მილიციასაც კარგად ესმის ჩვენი სტიქიური ეგოიზმი. იგი თავმდაბლობს იმ დეიდასთანაც კი, რომელიც ცელქ შვილს „ძია მილიციელით“ აშინებს; იგი, სავსებით ფილოსოფიურად, არ ცდილობს უპასუხოს ცნობილ კითხვა-საყვედურს: „სად არის მილიცია?!“ მილიცია პირნათლად ასრულებს მოვალეობას და არის იქ, სადაც საჭიროა. ყურს არიდებს რა დედის მოუფიქრებელ „აღმზრდელობით“ მუქარას, მილიცია უხილავი ფარით იცავს მის პატარას, ფარით, რომლის საიმედობა განსახიერებულია მილიციელის პიროვნებაში.

მოდით გულწრფელად ვაღიაროთ: ჩვენს ხარატებს, მდივნებს, ჟურნალისტებს მათემატიკოსებს, გამყიდველებს — ყოველთვის როდი შეგვიძლია ვიყოთ თავდაჭერილნი, თავაზიანი ერთმანეთის მიმართ, დამთმობნი და მუდამ კეთილის — მსურველნი. მილიციელი კი! არა ჩაიცვით მისი მუნდირი, გნებავთ ლურჯი, გნებავთ მარენგოს ფერი, ანდა დადექით საგუშაგოზე ანდა იმორიგევეთ განყოფილებაში პიკის საათებში, თქვენ ალბათ ხვდებით, მოგიწევთ ყოფნა არც თუ კარგ საზოგადოებაში. „ეშმაკმა წაიღოს, რომელ კულტურაზეა ლაპარაკი!“ — იტყვით მაშინვე.

დღეს მილიცია აცხადებს: „დიახ, სწორედ იქაც, ჩვენს რიგებში. ყოველ რგოლში უნდა იყოს მაღალი კულტურა ყოველგვარი დათმობის გარეშე.

მილიციელთა ახალი მუნდირით შემოსვა მარტო სხვა ფერისა და მოდის ჩასაცმელი არ ყოფილა. ეს მუნდირის სიწმინდის და ღირსებისათვის ბრძოლის სიმბოლოა, ამ მეტაფორის ნორმალური გაგებით. გაიხადა ლურჯი ფარაჯა საბჭოთა მილიციელმა და ჩაიცვა ახალი, მარენგოსფერი მუნდირი. მარტო ტანსაცმელი არ შეუცვლია მას, იგი შეიარაღდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმებით. ცვლილებები შეიმჩნევა ყველაფერში, კარგი ცვლილებები.

**ი. ფეოფანოვი.**

**გადმობეჭდილია შემოკლებით „მებრძოლი გუშაგის“ 1969 წლის 16 ივლისის ნომრიდან.**

КЛУБ ИНТЕРЕСНЫХ ВСТРЕЧ

# Писатель с боевым пером

**Под этой рубрикой мы периодически будем публиковать беседы с интересными людьми: деятелями науки и культуры, спортсменами, работниками правоохранительных органов. Адреса подскажут ваши письма, дорогие читатели. Оглянитесь: наверняка рядом с вами есть такой человек, встреча с которым будет интересна многим. Итак, ждем ваших писем.**

**А сегодня в нашем клубе встреча с писателем-новеллистом, доктором филологических наук, профессором Тбилисского государственного университета Ревазом Мишвеладзе.**

**— Критики часто пишут о том, что в ваших новеллах чувствуется острый глаз в видении современных социальных явлений. О вас отзываются, как о писателе разоблачающего характера, борющегося с недостатками. Чем вы объясняете столь критический настрой вашего творчества?**

— Никогда заранее я не ставлю себе цели разоблачить или выявить какие-либо недостатки, которые, к сожалению, все еще встречаются в нашей жизни. Если это становится самоцелью для писателя, тогда художественное произведение получает фельетонный характер. Я же пишу о жизни так, как ее вижу. Стараюсь, чтобы жизнь, описанная моим пером, была правдоподобной. Я считаю немыслимым такое произведение, в котором жизнь показана с одной стороны, когда писатель, надев цветные очки, с самодовольным лицом воспевает все, что видит. Если в моих новеллах иногда замечается ирония, то это не без причины. Ведь у нас еще много такого, что мешает нам жить нормально. А дело писателя заключается в том, чтобы рассказать или показать людям, как построить жизнь лучше.

**— В вашем нашумевшем рассказе «Благодетель» рассказывается о том, как одинокий человек совершил доброе дело, но эта бескорыстная доброта не была понята и принята теми, к кому она обращалась. Начались сплетни, пересуды, которые чуть не довели этого человека до самоубийства. Что вы хотели сказать читателям этим рассказом и имеет ли сюжет «Благодетеля» социальное оправдание в нашей среде?**

— Открою секрет, что написать этот рассказ мне подсказал реальный случай, который произошел с одним моим знакомым. В последнее время некоторые люди потеряли веру в доброту, в свои силы и возможности. Я хотел вернуть им эту веру. Своей новеллой я говорю им: не подчиняйтесь законам урбанизации, не отрывайтесь друг от друга, доверяйте друг другу, отбросьте сомнения и недоверчивость. Это и есть идея моей новеллы «Благодетель».

**— В ваших рассказах, таких, к примеру, как «Пинок», «Упрямый», «Терпение лопнуло», «Вор» и других, часто появляются работники правоохранительных органов, следователи, судьи, автоинспекторы. Они попадают в разные ситуации, совершают подвиги, порой, по своей вине допускают ошибки, просчеты. И тогда ваше перо становится беспощадным, проникнутым иронией и сарказмом. Чем объяснить это ваше внимание к людям вышеназванных профессий?**

— Наверное тем, что у меня есть, что им сказать. В самом деле в моих новеллах уже видна целая галлерея остапов бендеров, почему нам еще приходится говорить о мошенниках, аферистах. В моих новеллах прямо или косвенно, в тексте или подтексте иногда дается ответ и на этот вопрос.

**— Читая ваши новеллы, порой, удивляешься знанию психологии преступного мира. Откуда это у вас и где вы берете факты для новелл такого характера?**

— Путешествуя по городам и селам нашей страны иногда захожу в различные учреждения не как писатель, а как рядовой гражданин и часами наблюдаю за их жизнью. Бывает и на собраниях присутствую. Возможно, это не совсем этично, но зато очень обогащает писательскую палитру. Кроме того, я часто присутствую на судах, как народный заседатель и задумываюсь о том, что порождает в людях желание совершить зло, что в конце концов приводит их на скамью подсудимых.

Называют меня писателем с боевым пером. Может это очень громкие слова, но я стараюсь делать свое дело так, чтобы мне доверяли, чтобы к моим советам прислушивались. И если я посредством своих новелл добьюсь, что люди, прочитавшие их, станут хоть чуточку добрее, честнее, то буду считать оправданной свою писательскую деятельность.

**Беседу записал**
**В. МИРОШНИЧЕНКО.**

# მასპინძლობდა ბოლნისი

**ფაშისტურ** გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა ბოლნისის შს რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით მოწყობილი სპორტული შეჯიბრება, რომელშიც დმანისის შს რაიგანყოფილებისა და მარნეულის საქალაქო განყოფილების გუნდებიც მონაწილეობდნენ.

სპორტული პაექრობა გაიმართა სამ სახეობაში. 5-5 კაციანმა გუნდებმა პირველად საცეცხლე ხაზზე სცადეს ძალა. 25 მეტრზე პისტოლეტით სამიზნეზე სროლაში 8-8 შესაძლებლობიდან გუნდურ პირველობაში 291 ქულით გამარჯვება წილად ხვდა დმანისის შს რაიგანყოფილების გუნდს, პირად პირველობაში 76 ქულით საუკეთესო იყო ბოლნისელი მ. ლარიბოვი; დმანისელი გ. კავლელაშვილი მას მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა.

ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება თოკის გადაწევაში და 32 კილოგრამიანი გირის აწევაში. თოკის გადაწევაში პირველობა არავის დაუთმო ბოლნისის გუნდმა, ხოლო დმანისის გუნდი უძლიერესი აღმოჩნდა გირის აწევაში.

საერთო ქულათა რაოდენობით პირველ ადგილზე გამოვიდა დმანისის შს რაიგანყოფილების გუნდი, მასპინძლები მეორე ადგილს დასჯერდნენ.

სამწუხაროდ, ამ მეტად საინტერესო სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობას რატომღაც თავი აარიდეს თეთრიწყაროს, წალკისა და მარნეულის შს რაიგანყოფილების გუნდებმა.

**რ. ციხელაშვილი,**
**დმანისის რაიონული გაზეთის „თრიალეთის“ რედაქტორის მოადგილე.**



# Победители определены



В г. Тбилиси впервые была проведена легкоатлетическая военизированная эстафета, посвященная 40-летию Победы советского народа в Великой Отечественной войне 1941—1945 годов.

В соревнованиях приняли участие сборные команды районных отделов внутренних дел, подразделения УВД Тбилгорисполкома, коллективы физической культуры Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР. Всего участвовало 18 команд.



Протяженность трассы, разбитой на 9 этапов, составила 7,5 км. Эстафета явилась как бы финалом, которому предшествовали массовые забеги на дистанции 1418 метров (по количеству дней Великой Отечественной войны), проводимые в апреле текущего года во всех Советах и Комитетах физической культуры Грузсовета «Динамо».

Победителем данной эстафеты стал коллектив войсковой части, второе место заняли спортсмены УПО МВД ГССР, на третьем месте — Тбилисский факультет Московской высшей школы милиции МВД СССР.

Команды, занявшие призовые места, были отмечены дипломами, вымпелами и памятными кубками, а участники этих команд награждены ценными подарками.

**А. СМИРНИЦКИЙ.**

Фото Г. Доленджашвили.

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. უე 06165